ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5509170

ნომერი: AR1835963

თარიღი : 05.07.2021

გაცემის თარიღი : 19.07.2021

გაცნობის თარიღი : 21.07.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნატახტარი , N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე წილოსანი პ/ნ 01019058408
- თბილისი ღრმაღელის ქ. N 88

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. მიმდებარე განაშენიანების გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია საპროექტო ტერიტორიაზე ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების შესაძლებლობა. საჭიროა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე მოთხოვნა დააყენოთ ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით.

02...საჭიროების შემთხვევაში საპროექო ობიექტის ესკიზური ვარიანტი -> ....ესკიზური ვარიანტის pdf ფაილი :
წარმოდგენილი ესკიზი არ შეესაბამება ფუნქციას. სჭიროა დაკორექტირდეს აღნიშნული და წარმოდგენილ იქნას ფუნქციასთან შესაბამისობაში მოყვანილი ესკიზი.

03....მოთხოვნის შინაარსი -> ....მოთხოვნის ტექსტი:
მოთხოვნის შინაარსში დეტალურად განიმარტოს ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ, მათ შორის განიმარტოს იგეგმება თუ არა არსებული შენობების დემონტაჟი

04....არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის pdf ფაილი :
წარმოსადგენია ტოპოგრაფიული გეგმა, შესრულებული უფლებამოსილი პირის მიერ მისივე საპროექტო ორგანიზაციის სატიტულო შტამპიან ფურცელზე, სველი ხელმოწერით დამოწმებული.

05....არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ....ფოტოსურათების pdf ფაილი :
წარმოდგენილ იქნას საპროექტო ტერიტორიის დათარიღებული, ფოტოსურათები.

06. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში:
ველი დარჩეს ცარიელი.

07....საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.:
- საინფორმაციო დაფა ბანერზე ამჟამად მითითებული ფუნქცია არ შეესაბამება განცხადებით მოთხოვნილს. ასევე გაიტავსლიწინეთ რომ წარმოდგენილი "ესკიზი" არ ითვალისწინებს მანსარდის მოწყობას.
- დოკუმენტაცია მოყვანილ იქნას განახლებულ ნომენკლატურასთან და მოთხოვნასთან შესაბამისობაში.

08.. ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ (გარდა II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა) -> განმარტებითი ბარათი:
აღწერეთ დაგეგმილი გამწვანება.

09. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე შენობის ან/და ნაგებობის განთავსების სქემა -> სქემის ელექტრონული ფაილი:
- ველში ატვირთულ იქნას ტოპოგრაფიულ ძირზე დამუშავებული სავარაუდო განთავსების სქემა.
- დაცულ იქნას უკნაა ეზოს რეგულირების ხაზი (იხ.დანართი).
- ტერიტორიაზე ხე-ნარგავების არსებობის შემთხვევაში დაცულ იქნა სავალდებულო მანძილები, იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავებიდან ვერ იცავთ სავალდებულო 3, ხოლო ბუჩქებამდე 1,5 მეტრიან მანძილს წარმოდგენილ იქნას უფლებამოსილი ორგანიზაციის ან/და სპეციალისტის საექსპერტო დასკვნა, ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება (სახეობის და გარშემოწერილობის შესახებ, რომელიც იზომება მიწის ზედაპირიდან 10 სმ. სიმაღლეზე), რომელთა დასკვნის საფუძველზე წარმოდგენილ უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე მონიშნული ხე-ნარგავები შესაბამისი ექსპლიკაციის მითითებით.

საჭიროების შემთხვევაში საექსპერტო დასკვნა გადაეგზავნება გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს, რის შემდგომაც გეცნობებათ პასუხი არსებული ხის მოჭრა/გადარგვასთან დაკავშირებით.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. დოკუმენტაციის წარმოდეგნის შემდეგ საკითხი გადაგზავნილ იქნას შესაბამის უწყებაში.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.